



# საქართველო

## ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ.ოზურგეთი კოსტავას ქ.№1

4 ივლისი 2011 წელი

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 79

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „ოზურგეთის დასუფთავების სამსახური“-სთვის სარგებლობაში გადაცემის შესახებ**

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის „პ.ა“, „პ.ბ“ ქვეპუნქტების და „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 19<sup>1</sup> (პრიმა) მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად:

### ე ბ რ ძ ა ნ ე ბ

**მუხლი 1.** სრულყოფილი საქმიანობისათვის სათანადო სამუშაო პირობების შექმნისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უზრუნველყოფისათვის, ა.(ა.)ი.პ. „ოზურგეთის დასუფთავების სამსახურს“ გადაეცეს (ბალანსიდან-ბალანსზე) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალება (მოდელი „ფორდ ტრანზიტ“, გამოშვების წელი 1996, ტიპი სატვირთო ფურგონი, სარეგისტრაციო ნომერი IHI-994) საბალანსო ღირებულებით 8000 (რვაათასი) ლარი, სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ იურიდიული პირის არსებობის ვადით.

**მუხლი 2.** დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურებს მოახდინონ გადაცემული ქონების მიმართ შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმება.

**მუხლი 3.** ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ი.სიორიძის ქ. №14)

**მუხლი 4.** ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ალეკო მამეშვილი